საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

28 სექტემბერი, 2017 წ ქ. ბათუმი

ბრძანება № 01-08/80

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომის შემდგომი განათლების, სპეციალიზაციის კურსზე „ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია“ მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 სექტემბრის №89 დადგენილების, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის (№02/21389 05.04.2017წ.) წერილის, დეპარტამენტის ხელმძღვანელის მ.ბაქრაძის 2017 წლის 25 სექტემბრის №1140892 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მისაღები კონკურსი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომისშემდგომი განათლების, სპეციალიზაციის კურსზე „ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია“

2. კონკურსანტთა განცხადებებისა და საბუთების მიღება განხორციელდეს ბსუ–ს კანცელარიაში 2017 წლის 27 სექტემბრიდან 2017 წლის 03 ოქტომბრის ჩათლით, 10სთ–დან 17სთ–მდე.

3. სპეციალიზაციის კურსზე ჩარიცხვა განხორციელდეს აკრედიტაციით დადგენილი ოდენობის (კვოტა - 14) ფარგლებში.

4. კონკურსანტთა რაოდენობა თუკი, გადააჭარბებს დადგენილ ოდენობას, საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.

5. სპეციალიზაციის კურსზე მაძიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემული იქნეს კონკურსის შედეგების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

7. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში(ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ.№30)

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში